ქალაქ ბათუმის მერი

ბრძანება №217

17 მაისი 2010 წ

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ფრენბურთის კლუბი „ბათუმი“-ს დაფუძნების, წესდების დამტკიცებისა და დირექტორის თანამდებობაზე ნ. თავდგირიძის დანიშვნის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, მერის არყოფნისას, მის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში ან თანამდებობიდან მისი გადადგომისას ან გათავისუფლებისას, მერის მოვალეობას ასრულებს მერის პირველი მოადგილე. ქ. ბათუმის მერის 2010 წლის 27 აპრილის №3/368 ბრძანების თანახმად, ქ. ბათუმის მერი რობერტ ჩხაიძე 2010 წლის 27 აპრილიდან გამოძახებული იქნა კუთვნილი შვებულებიდან და 2010 წლის 27 აპრილს პირადი განცხადების საფუძველზე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან, რაც ადასტურებს, რომ ადგილი აქვს მის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობას. ქ. ბათუმის მერის 2007 წლის 22 ოქტომბრის №02-12-281 ბრძანების თანახმად ქ. ბათუმის მერის პირველ მოადგილედ დანიშნულია დავით სამნიძე, რომელსაც ეკისრება მერის მოვალეობის შესრულება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ა[1]“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის 39-ე მუხლის მე-6 პუნქტის, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის, „სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დაფუძნდეს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ფრენბურთის კლუბი „ბათუმი“ საწესდებო კაპიტალში 100%-იანი ქ. ბათუმის მერიის წილობრივი მონაწილეობით.

2. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ფრენბურთის კლუბი „ბათუმი“-ს საწესდებო კაპიტალში 100%-იანი წილით დამფუძნებელია (პარტნიორის უფლებამოსილებას ახორციელებს) თვითმმართველი ქალაქი ბათუმი, ქალაქ ბათუმის მერიის სახით.

3. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ფრენბურთის კლუბი „ბათუმი“-ს იურიდიულ მისამართად განისაზღვროს: ქ. ბათუმი, ფიროსმანის ქ. №14.

4. დამტკიცდეს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ფრენბურთის კლუბი „ბათუმი“-ს წესდება, თანახმად დანართისა.

5. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ფრენბურთის კლუბი „ბათუმი“-ს დირექტორად დაინიშნოს ნიკო თავდგირიძე (დაბადებული 03.12.1958 წ. ქედის რაიონში, უმაღლესი განათლებით; მცხ: ქ. ბათუმი, ინასარიძის ქ. №5, ბ. №30; პირადობის მოწმობა №g0021509, პირადი №61002001987, გაცემული ქ. ბათუმის I-ლი ქვეგანყოფილების მიერ 10.08.1995 წ.).

6. დაევალოს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ფრენბურთის კლუბი „ბათუმი“-ს დირექტორს უზრუნველყოს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების რეგისტრაციაში გატარება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქ. ბათუმის მერის პირველი
მოადგილე, მერის მ/შ **დავით სამნიძე**

დ ა ნ ა რ თ ი

„დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ა“

ქ. ბათუმის მერის 2010 წლის

17 მაისის №217 ბრძანებით

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

ფრენბურთის კლუბი

„ბათუმი“

წ ე ს დ ე ბ ა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ფრენბურთის კლუბი „ბათუმი" (შემდგომში საზოგადოებად წოდებული) შექმნილია „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

1.2. საზოგადოება იქმნება განუსაზღვრელი ვადით.

1.3 საზოგადოების სამეურნეო წელი ემთხვევა კალენდარულ წელს. დრო საზოგადოების რეგისტრაციიდან რეგისტრაციის წლის 31 დეკემბრამდე შეადგენს ერთ ნაკლულ სამეურნეო წელს.

მუხლი 2. საზოგადოების სრული და შემოკლებული სახელწოდება

2.1. საზოგადოების სრული სახელწოდებაა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ფრენბურთის კლუბი „ბათუმი".

2.2. საზოგადოების შემოკლებული სახელწოდებაა: შპს „ფრენბურთის კლუბი „ბათუმი".

მუხლი 3. საზოგადოების იურიდიული მისამართი და სტატუსი

3.1 საზოგადოების იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. ბათუმი, ფიროსმანის ქ. №14

3.2 საზოგადოება არის იურიდიული პირი საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და წინამდებარე წესდებით.

3.3 საზოგადოება იურიდიული პირის უფლებებს და მოვალეობებს იძენს დადგენილი წესით რეგისტრაციის დღიდან.

მუხლი 4. საზოგადოების საქმიანობის საგანი

4.1. საზოგადოების საქმიანობის ძირითადი საგანია:

ა) კვალიფიცირებული ფრენბურთელების მომზადება;

ბ) ფრენბურთელების გაერთიანება საკლუბო საწყისებზე, მათი პროფესიული ინტერესების დაცვა, ჩემპიონატებში მონაწილეობის მიღება;

გ) ფრენბურთის პოპულარიზაცია;

დ) ბავშვთა და მოზარდთა ფრენბურთის განვითარება, საერთაშორისო კლასის ფრენბურთელებისა და გუნდების მომზადებისათვის, ასევე მოყვარულთათვის ფიზკულტურასა და სპორტში მეცადინეობისათვის ხელშეწყობის მიზნით მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, პროფესიონალ ფრენბურთელთა გუნდებისათვის ღირსეული ცვლის მომზადება;

ე) სპორტული ღონისძიებების შემუშავება, ორგანიზება;

ვ) სპორტსმენთა მომზადების ორგანიზაციული და მეთოდური ხელმძღვანელობა, ფიზკულტურულ-განმაჯანსაღებელი სამუშაოების განხორციელება;

ზ) საქართველოს რეგიონებთან და საზღვარგარეთის ქვეყნებთან სპორტულ-მეცნიერულ და სხვა სფეროებში თანამშრომლობის პრიორიტეტულ მიმართულებათა განსაზღვრა და მათი განხორციელებისათვის ხელშეწყობა;

თ) კავშირების დამყარება სხვა ქვეყნების ფრენბურთის კლუბებთან, სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებსა და ჩემპიონატებში მონაწილეობა;

ი) სარეკლამო, საინფორმაციო, საგამომცემლო საქმიანობა.

4.2. საზოგადოება შეიძლება ეწეოდეს სხვა ნებისმიერ საქმიანობას, რომელიც არ არის მითითებული აღნიშნულ წესდებაში, მაგრამ აკრძალული არ არის მოქმედი კანონმდებლობით, ასევე მიიღოს მონაწილეობა მსგავსი ან განსხვავებული საქმიანობის მქონე კერძო და საჯარო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობაში.

4.3. საქმიანობას, რომლის განსახორციელებლად საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს სპეციალურ ნებართვას, (ლიცენზირება, სერთიფიცირება), საზოგადოება წარმართავს საქართველოს კანონმდებლიბით დადგენილი წესით სათანადო ნებართვის (ლიცენზიის) მიღების შემდეგ.

მუხლი 5. საზოგადოების პარტნიორები და საწესდებო კაპიტალი

5.1. საზოგადოების პარტნიორი არის: თვითმმართველი ქალაქი ბათუმი, წარმოდგენილი თვითმმართველი ქალაქი ბათუმის მერიის (მის. ქ. ბათუმი, ლ. ასათიანის ქ. №25, საინდენტიფიკაციო კოდი: 245576826) სახით.

5.2. პარტნიორს შეუძლია გაზარდოს საწესდებო კაპიტალი.

5.3. შენატანის უკან დაბრუნება დაიშვება მხოლოდ საწესდებო კაპიტალის შემცირების გზით. ამისთვის საჭიროა ცვლილების შეტანა საზოგადოების წესდებაში. საწესდებო კაპიტალის შემცირება რეგისტრირებული უნდა იქნეს სამეწარმეო რეესტრში.

მუხლი 6. პარტნიორები და მათი უფლება-მოვალეობანი

6.1. საზოგადოების პარტნიორი შეიძლება გახდეს საქართველოს ან უცხოელი სრულწლოვანი მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი, აგრეთვე იურიდიული პირი.

6.2. პარტნიორებს უფლება აქვთ:

ა) მონაწილეობა მიიღონ საზოგადოების მართვაში;

ბ) მიიღონ მოგების კუთვნილი ნაწილი. საზოგადოების ლიკვიდაციის შემთხვევაში მიიღონ საზოგადოების ქონებიდან კუთვნილი წილი;

გ) გააკონტროლონ საზოგადოების ხელმძღვანელობა;

დ) მოითხოვონ დირექტორისაგან მისთვის საზოგადოების საქმიანობის შესახებ ინფორმაციის დაუყონებლივ მიწოდება და საზოგადოების წიგნებისა და ჩანაწერების გაცნობა.

6.3. პარტნიორებს შეუძლიათ წილის გასხვისება (დათმობა). პარტნიორის მიერ წილის დათმობა მოითხოვს სანოტარო წესით დამოწმებულ ხელშეკრულებას. სანოტარო დამოწმებაა ასევე საჭირო შეთანხმებისათვის, რომლითაც წარმოიშობა პარტნიორის ვალდებულებანი წილის გასხვისების შესახებ.

6.4. შესაძლებელია წილის/მისი ნაწილის ფიზიკური პირის საკუთრებაში გადაცემა. ამასთან, საოჯახო ან მემკვიდრეობითი ურთიერთობების საფუძველზე წილზე საკუთრების უფლების წარმოშობა ავტომატურად არ გამოიწვევს ასეთი პირისათვის პარტნიორის უფლება-მოვალეობების წარმოშობას. აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად საჭიროა დანარჩენი პარტნიორების წერილობითი თანხმობა.

6.5. პარტნიორთა წილობრივი მონაწილეობის ცვლილებების რეგისტრაციას ახორციელებს თვითონ საწარმო პარტნიორთა წილობრივი მონაწილეობის რეესტრში

რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ სათანადო ჩანაწერების საფუძველზე.

6.6. პარტნიორები ვალდებულნი არიან:

ა) დროულად შეიტანონ წილი საზოგადოების საწესდებო კაპიტალში;

ბ) დაიცვან წესდების დებულებები.

მუხლი 7. მართვის ორგანოები

7.1. საზოგადოების მართვის უმაღლესი ორგანოა პარტნიორთა კრება, რომელიც წარმართავს საზოგადოების საქმიანობას. პარტნიორთა კრება ტარდება სულ ცოტა, წელიწადში ერთხელ მაინც და იღებს გადაწყვეტილებას წლიური შედეგების შესახებ, თუ პარტნიორებმა არ ისარგებლეს წერილობითი თანხმობის უფლებით. დირექტორმა უნდა მოიწვიოს საზოგადოების კრება, თუ საზოგადოების ინტერესები ამას მოითხოვს ან/და თუ პარტნიორები, რომელთა წილი ერთად შეადგენს საწესდებო კაპიტალის მეოცედ ნაწილს, მოითხოვენ კრების ჩატარებას.

7.2. პარტნიორთა კრება იღებს გადაწყვეტილებას ყველა საკითხზე. კერძოდ:

ა) საზოგადოების წესდების დამტკიცება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა;

ბ) საზოგადოების საწესდებო კაპიტალის შეცვლა;

გ) პარტნიორის მიერ წილის გასხვისება მესამე პირებზე, რომლის შესახებ გაცემულ ნებართვაში მითითებული უნდა იქნას შემძენის პიროვნება;

დ) სამეურნეო პოლიტიკის ზოგადი პრინციპების განსაზღვრა;

ე) ფილიალების შექმნა და ლიკვიდაცია;

ვ) უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება და დატვირთვა;

ზ) ხელმძღვანელ მუშაკთათვის მოგებისა და საერთო შემოსავალში მონაწილეობისა და პენსიის მიცემის პრინციპების განსაზღვრა;

თ) დირექტორის დანიშვნა და გამოწვევა, მასთან შრომის ხელშეკრულებების დადება და შეწყვეტა, აგრეთვე მისი ანგარიშის დამტკიცება;

ი) წლიური შედეგების დამტკიცება და შედეგების გამოყენება;

კ) დამატებითი შესატანების უკან დაბრუნება;

ლ) პროკურის გაცემა და გაუქმება;

მ) აგრეთვე ის სხვა საკითხები, რომლებზეც პარტნიორთა კრება დაადგენს პარტნიორთა კრების გზით გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობას.

7.3. დირექტორს შეუძლია მოიწვიოს პარტნიორთა კრება პარტნიორისათვის ერთი კვირით ადრე გაგზავნილი დაზღვეული წერილით ან ფაქსით, რომელიც უნდა შეიცავდეს დღის წესრიგის პროექტს. წერილის მიღებიდან სამი დღის ვადაში პარტნიორს შეუძლია ცვლილებები შეიტანოს დღის წესრიგში. კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მასში მონაწილეობენ ის პარტნიორები, რომელთაც აქვთ ხმების უმრავლესობა. თუ კრება გადაწყვეტილებაუნარიანი არ არის, მაშინ კრების მომწვევს შეუძლია იმავე დღის წესრიგით არანაკლებ 2 კვირის ვადაში კვლავ მოიწვიოს კრება. მეორე კრება გადაწყვეტილებაუნარიანი იქნება მაშინაც, თუ არ გამოცხადდება პარტნიორთა უმრავლესობა.

7.4. კრება დაუყონებლივ უნდა იქნეს მოწვეული, თუ წლიური ბალანსიდან ან წლის განმავლობაში შედგენილი ბალანსიდან ირკვევა, რომ საზოგადოებამ შეიძლება კაპიტალის ნახევარი დაკარგოს.

7.5. პარტნიორთა კრება იღებს გადაწყვეტილებას კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების უმრავლესობით, წილობრივი მონაწილეობის შესაბამისად.

7.6. თუ პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების შინაარსი ქმნის არათანაბარ მდგომარეობას პარტნიორისათვის, ან/და თუ ხელყოფს პარტნიორის არსებით ინტერესებს, გადაწყვეტილება მიიღება მხოლოდ ერთხმად.

7.7. პარტნიორები არსებითი ინტერესების ქვეშ გულისხმობენ: საზოგადოების წესდებაში ცვლილებების შეტანას, სამეურნეო პოლიტიკის ზოგადი პრინციპების განსაზღვრას, საზოგადოების ლიკვიდაციას.

7.8. პარტნიორს უფლება აქვს საკუთარი პოზიცია დღის წესრიგის საკითხებთან დაკავშირებით, პარტნიორთა კრების ჩატარებამდე დააფიქსიროს და გამოაგზავნოს წერილობითი დოკუმენტის სახით, ნებისმიერი ელექტრონული საშუალებით, იმ პირობით, რომ მისი პოზიციის გამომხატველი დოკუმენტის ორიგინალი 3 (სამი) კალენდარული დღის განმავლობაში მიღებული იქნება საზოგადოების იურიდიულ მისამართზე. პარტნიორის მიერ ამ მუხლის პირობების დაცით გამოგზავნილი პოზიცია გათვალისწინებული იქნება კენჭისყრის დროს.

7.9. პარტნიორთა კრების მოწვევა არ არის აუცილებელი, როცა ყველა პარტნიორი წერილობით, 7.8. მუხლის პირობების დაცვით, დაეთანხმება განსახილველ საკითხს.

7.10. პარტნიორთა კრების მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ დგება ოქმი, რომელზედაც აუცილებელია თავმჯდომარის ხელმოწერა.

მუხლი 8. დირექტორი

8.1. საზოგადოების ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა ეკისრება დირექტორს.

8.2. ხელმძღვანელობით საქმიანობად მიიჩნევა მოქმედება, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ემსახურება საზოგადოების მიზანს.

8.3. დირექტორი წარმოადგენს საზოგადოებას მესამე პირებთან სამართლებრივ ურთიერთობაში. ის მოქმედებს ერთპიროვნულად და მისი წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მესამე პირთან ურთიერთობაში არ არის შეზღუდული.

8.4. დირექტორს არ აქვს უფლება პარტნიორის თანხმობის გარეშე მისდიოს იმავე საქმიანობას, რასაც მისდევს საზოგადოება ან მიიღოს მონაწილეობა მსგავსი ტიპის სხვა საზოგადოებაში პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორის ან დირექტორის სახით. ამ თანხმობის გაცემა შეუძლია პარტნიორთა კრებას. ასეთ საქმიანობაზე თანხმობა მიცემულად ჩაითვლება, თუ საზოგადოების ხელმძღვანელად დანიშვნისას პარტნიორისათვის ცნობილი იყო, რომ საზოგადოების ხელმძღვანელი ეწევა ასეთ საქმიანობას და ამ საქმიანობის შეწყვეტა მისთვის აშკარად არ მოუთხოვიათ.

8.5. დირექტორი საზოგადოების საქმეებს უნდა გაუძღვეს კეთილსინდისიერად. თუ ის არ შეასრულებს ამ მოვალეობას, წარმოშობილი ზიანისათვის პასუხს აგებს პ-არტნიორის წინაშე, თუ ვერ დაამტკიცებს, რომ მას არ დაურღვევია თავისი მოვალეობა.

8.6. დირექტორს არ შეიძლება მიეცეს კრედიტი საზოგადოების იმ ქონებიდან, რომელიც აუცილებელია საწესდებო კაპიტალის შენარჩუნების უზრუნველსაყოფად. კრედიტი, რომელიც მაინც გაიცა ყოველგვარი სხვაგვარი შეთანხმების მიუხედავად, მაშინვე უნდა დაბრუნდეს.

8.7. დირექტორი პასუხისმგებელია იმაზე, რომ საზოგადოების საბუღალტრო საქმეები და აღრიცხვა წარმოებდეს საქართველოში მოქმედი საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების კანონმდებლობის შესაბამისად.

8.8. დირექტორი ვალდებულია ათი წლის განმავლობაში შეინახოს ყველა კანონით გათვალისწინებული დოკუმენტი საზოგადოების საქმიანობაზე.

8.9. სამეურნეო წლის პირველი თვის განმავლობაში დირექტორმა უნდა შეადგინოს გასული სამეურნეო წლის წლიური ბალანსი, ანგარიში მოგება-ზარალის შესახებ (წლიური ანგარიში), ასევე საქმიანობის ანგარიში და უნდა წარმოადგინოს დასკვნითი ანგარიში.

8.10. დირექტორი უფლებამოსილია:

ა) დაამტკიცოს საზოგადოების დოკუმენტები და საშტატო განრიგი;

ბ) მიიღოს და გაათავისუფლოს სამუშაოდან საზოგადოების მუშაკები;

გ) წაახალისოს და დასაჯოს ისინი შინაგანაწესის შესაბამისად;

დ) დადოს გარიგებები და გასცეს მინდობილობები იმ საკითხებზე, რაც შედის მის უფლებამოსილებებში;

ე) გახსნას ანგარიშები;

ვ) გამოსცეს საორგანიზაციო-განმკარგულებელი ხასიათის დოკუმენტები;

ზ) გადაწყვიტოს კანონმდებლობით და საზოგადოების წესდებით გათვალისწინებული სხვა სახის საკითხები.

მუხლი 9. წლიური შედეგები

9.1. პარტნიორს აქვს წლიური გაუნაწილებელი მოგების მიღების უფლება ნაშთის ჩათვლით და ზარალის გამოკლებით.

9.2. შედეგების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას პარტნიორს შეუძლია თანხა მოგებიდან ანარიცხებში ჩარიცხოს ან წარმოადგინოს როგორც მოგება.

9.3. დაუშვებელია საწესდებო კაპიტალის, როგორც მოგების განაწილება.

მუხლი 10. საზოგადოების საქმიანობის შეწყვეტა

10.1. საზოგადოება წყვეტს საქმიანობას:

ა) პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით;

ბ) კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

10.2. საზოგადოების საქმიანობის შეწყვეტა ხდება მისი რეორგანიზაციის (შერწყმის, შეერთების, გაყოფის, გარდაქმნის) ან ლიკვიდაციის გზით.

10.3. საზოგადოების რეორგანიზაციის შემთხვევაში მისი ყველა უფლება და ვალდებულება გადაეცემა მის უფლებამონაცვლეს.

10.4. ლიკვიდაციას აწარმოებს დირექტორი რომელიმე მონაწილის შუამდგომლობით თუ საამისოდ მნიშვნელოვანი საფუძვლები არსებობს. ლიკვიდაციის განმახორციელებელი პირები (ლიკვიდატორები) შეიძლება დაინიშნონ იმ სასამართლოს მიერ, რომლის ტერიტორიაზეც საზოგადოებას აქვს ადგილსამყოფელი. ასეთ შემთხვევაში, სასამართლოს შეუძლია ლიკვიდატორებად დანიშნოს გარეშე პირებიც. ლიკვიდატორებმა დანიშვნისთანავე უნდა შეადგინონ ბალანსი, საწარმოს საბუღალტრო წიგნებიდან ან სხვა წყაროებიდან. ცნობილ კრედიტორებს საზოგადოების ლიკვიდაციის შესახებ უნდა აცნობონ სპეციალური შეტყობინებით, ხოლო უცნობ

კრედიტორებსა და იმ კრედიტორებს, რომელთა საცხოვრებელი ადგილი უცნობია, საჯარო განცხადებით და მოიწვიონ ისინი მათი პრეტენზიების განცხადებისთვის.

10.5. ლიკვიდირებული საზოგადოების ქონება, ვალების დაფარვის შემდეგ გადაეცემა პარტნიორებს, რაც შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ 1 წლის გასვლის შემდეგ. ეს ვადა იანგარიშება იმ დღიდან, როცა მოვალეები მესამედ იქნებიან გამოძახებულნი პუბლიკაციის მეშვეობით. სასამართლომ შეიძლება 1 წლის ვადის გასვლამდეც მოახდინოს განაწილება, თუ არსებული გარემოებებიდან გამომდინარე ეს საფრთხეს არ უქმნის კრედიტორებს.

მუხლი 11. ფილიალები

საზოგადოებას შეუძლია დაარსოს ფილიალები, რომლებიც იურიდიულ პირს არ წარმოადგენენ. ფილიალის შექმნის შესახებ ეცნობება საზოგადოების ადგილსამყოფელის მიხედვით არსებულ მარეგისტრირებელ ორგანოს, რომელიც რეგისტრაციისათვის საბუთებს უგზავნის ფილიალის ადგილსამყოფელის მიხედვით არსებულ მარეგისტრირებელ ორგანოს.

მუხლი 12. დავების განხილვა

12.1. საზოგადოებაში წარმოქმნილი დავა და უთანხმოება გადაწყდება ურთიერთშეთანხმებით.

12.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას განიხილავს სასამართლო საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 13. სხვა დებულებები

13.1. წინამდებარე წესდება ძალაში შედის მისი სათანადო წესით რეგისტრაციის დღიდან.

13.2. თუ ამ წესდების რომელიმე დებულებამ ძალა დაკარგა, ეს არ გავრცელდება სხვა დებულებაზე. ამ შემთხვევაში, მონაწილეებს შეუძლიათ სამართლებრივი ნორმების შესაბამისად მოილაპარაკონ და ძალადაკარგული დებულება შეცვალონ ისეთი დებულებით, რომელიც საშუალებას მისცემს მათ მიაღწიონ მსგავს ეკონომიკურ შედეგს.

13.3. ამ წესდების მუხლებს აქვთ სათაურები წესდების ტექსტით სარგებლობის გასაადვილებლად და ეს სათაურები მხედველობაში არ მიიღებიან ამ წესდების რაიმე დებულების განმსაზღვრელად, შემცვლელად ან განსამარტავად.

13.4. წესდება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ოთხ იდენტურ ეგზემპლარად.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ქ. ბათუმი

20/11/2017

2074-25-4-201711201231

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 2074

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება -
„ფრენბურთის კლუბი ბათუმი"-ს წესდებაში
ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 106^1 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ფრენბურთის კლუბი ბათუმი"-ს (ს/კ №445386314) წესდების (დამტკიცებული ქალაქ ბათუმის მერის 2010 წლის 17 მაისის №217 ბრძანებით) მე-8 მუხლის 8.1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

8.1. საზოგადოების ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა ეკისრება დირექტორს, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი."

2. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ფრენბურთის კლუბი ბათუმი"-ს (ს/კ №445386314) წესდების მე-8 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 8.1^1; 8.1^2; 8.9^1; 8.9^2 და 8.9^3 პუნქტები:

„8.1^1. დირექტორი თანამდებობაზე ინიშნება ერთი სამეურნეო წლის ვადით, რომელიც მოიცავს წლის დასაწყისიდან - 1 იანვრიდან წლის დასასრულამდე - 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდს (კალენდარული წელი).

8.1^2. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი (პარტნიორთა კრება) უფლებამოსილია ვადაზე ადრე გაათავისუფლოს დირექტორი დაკავებული თანამდებობიდან ან გაუგრძელოს უფლებამოსილების ვადა ერთი სამეურნეო წლით.

8.9^1.დირექტორს უფლება არ აქვს გამოიტანოს ნაღდი ფული საზოგადოების საბანკო ანგარიშ(ებ)იდან.

8.9^2. დირექტორს უფლება არ აქვს საბანკო ოპერაციები (გადარიცხვები) აწარმოოს მთავარი ბუღალტერის ავტორიზაციის გარეშე. თუ საზოგადოებას არ ჰყავს მთავარი ბუღალტერი, მაშინ აღნიშნულ უფლებამოსილებას დირექტორთან

ერთად ახორციელებს თანამშრომელი, რომელიც თანამდებობრივად პასუხისმგებელია საბუღალტრო აღრიცხვაზე.

8.9[3]. დირექტორი ვალდებულია ყოველთვიურად (პირველ დეკადაში) დამფუძნებელ პარტნიორს წარუდგინოს ამონაწერ(ებ)ი საწარმოს საბანკო ანგარიშ(ებ)იდან მიმდინარე თვის პირველი რიცხვის მდგომარეობით.".

3. წინამდებარე ბრძანებით შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ფრენბურთის კლუბი ბათუმი"-ს წესდებაში განხორციელებული ცვლილება ვრცელდება ასევე ამ ცვლილების ამოქმედებამდე დანიშნულ დირექტორზეც, რაც ნიშნავს, რომ მოქმედი დირექტორის უფლებამოსილების ვადაა 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდი.

4. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსს (ვახტანგ გედენიძე, პირადი ნომერი: 61001051657) დაევალოს წინამდებარე ბრძანებით განხორციელებული ცვლილების შესაბამისად კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ლაშა კომახიძე

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი